

ევროპის უნივერსიტეტის



სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - ევროპის უნივერსიტეტი (შემდგომში - დაწესებულება) სასწავლო პროცესს წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და დაწესებულებაში მოქმედი სხვა აქტების შესაბამისად.

1.2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს, საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების არსებით შემადგენელ პირობებს, სტუდენტის შეფასების სისტემას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლების უზრუნველყოფის წესებს, ინფორმაციას სწავლებისა და სწავლის ფორმებისა და მეთოდების შესახებ.

1.3. დაწესებულებაში სწავლების ძირითადი ენა არის ქართული, ხოლო სხვა ენაზე სწავლება (უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება), გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

1.4. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის ორგანიზებას/მართავს ახორციელებენ: დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირები: რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში, სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსი/კოორდინატორები, საგანმანათლებლო ერთეული - ფაკულტეტის/სკოლა და მის სტრუქტურაში შემავალი სპეციალისტები.

თავი II

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის წესი მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო) და ერთსაფეხურიან პროგრამებზე

2.1. დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების, მობილობის და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად.

2.2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით ან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, სრული ზოგადი განათლების

დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში შესაბამის პროგრამაზე.

2.3. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მქონე პირთა დაწესებულებაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის და ევროპის უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული „ევროპის უნივერსიტეტში სწავლებაზე უფლებამოსილებულ პირთა ენის კომპეტენციის დონის განსაზღვრის წესის შესაბამისად“.

2.4. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტმა უნდა მიმართოს დაწესებულებას რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში.

2.5. რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება რექტორის აქტით. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

2.6. აბიტურიენტის დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში (ვაჟების შემთხვევაში).

2.7. რეგისტრაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ბრძანებას დაწესებულებაში აბიტურიენტთა ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ და დებს მათთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას. რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

2.8. აბიტურიენტი, რომელიც არ მიმართვს დაწესებულებას რეგისტრაციისთვის გათვალისწინებულ ვადებში უფლებამოსილია, მიმართოს დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის პირველ ივნისამდე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

2.9 აბიტურიენტის რეგისტრაციის გავლის შემდეგ, უნივერსიტეტი უფლებამოსილია უცხო ენის ფლობის დონის განსაზღვრის მიზნით, დააწესოს გამოცდა. საგამოცდო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

2.10 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია - აირჩიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები. აკადემიური რეგისტრაციის გავლის მიზნით სტუდენტი ვალდებულია უნივერსიტეტში წარმოადგინოს სემესტრისთვის დადგენილი სწავლის საფასურის 1/2 - ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 2¹. მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვა

2¹.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

2¹.2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან შესაბამისი სამხედრო / სასპორტო პროფესიული განათლების მქონე პირს.

2¹.3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს და ისწავლება არანაკლებ 1 სასწავლო წლის განმავლობაში.

2¹.4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემთხვევაში გაიცემა უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფორმის სერტიფიკატი, რითაც მას ეძლევა მასწავლებლობის უფლება.

2¹.5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემთხვევაში, კურსდამთავრებული არის უფროსი მასწავლებელი.

2¹.6. მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს:

ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებსაც მიღებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი.

2¹.7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა, გარდა საკვალიფიკაციო მოთხოვნისა, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგნის გამოცდისა და ევროპის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარება.

2¹.8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პირთა წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა)

3.1. დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდები სპეციალობაში და უცხო ენაში. შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა/გამოცდები დგინდება

პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის დეკანის წარდგინებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის კოლეგიური ორგანო ფაკულტეტის საბჭო.

3.2. მაგისტრანტობის კანდიდატი ევროპის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს იმ შემთხვევაში, თუ ის საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს კანონმდებლობით დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

3.3. სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები უცხო ენის ტესტის დონე დგინდება შესაბამისი სამაგისტრო პროგრამისა და „სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

3.4. სამაგისტრო გამოცდის შესაბამისი ტესტის ტიპი დგინდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ტიპის შესაბამისად.

3.5. საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპისა და უნივერსიტეტის გამოცდის/გამოცდების შედეგად გამოვლინდება ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც უფლებას მოიპოვებს სწავლა განაგრძოს ევროპის უნივერსიტეტში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრატურაში.

3.6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ევროპის უნივერსიტეტში რექტორის აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

3.7. დაწესებულება მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის აქტს და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების შედეგებს აქვეყნებს მის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3.8 უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს ევროპის უნივერსიტეტის ფაკულტეტის მიერ წარდგენილი და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საპრეტენზიო საბჭო.

3.9 მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განაცხადს წარადგენს ევროპის უნივერსიტეტის კანცელარიაში ბრძანებით დადგენილ ვადაში. პრეტენზიების წარდგენის პერიოდის ხანგრძლივობა, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების შედეგების ოფიციალურ ვებ- გვერდზე გამოქვეყნებიდან, არ შეიძლება იყოს 3 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

3.10 საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საპრეტენზიო საბჭო. საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული მაგისტრანტობის კანდიდატების შეფასებაში.

3.11. დაწესებულება, მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/ გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ქმნის სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს.

3.12. სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხვდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით ევროპის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

3.13. დაწესებულება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტს ქმნის შესაბამის სპეციალობაზე/სპეციალობების სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ მიღებული ნორმირებული ქულისა და მის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისთვის ან/და მის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდისთვის მინიჭებული კოეფიციენტის/კოეფიციენტების, ხოლო თუ კოეფიციენტები იდენტურია, ტესტის ნაწილების ან/ და გამოცდის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

მუხლი 3.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა

3.11. დაწესებულებაში ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე.

3.12. მაგისტრანტობის კანდიდატთა დაწესებულებაში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

3.13. დაწესებულებაში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3.14. იმ პირების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ამ მუხლის მე-3.13 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებები ევროპის უნივერსიტეტის მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც 5 ოქტომბრამდე იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. რექტორის ერთიანი აქტში მიეთითება მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 7 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით.

3.15. ამ მუხლის მე-3.14 პუნქტით გათვალისწინებული ერთიანი აქტის გამოცემის შემდეგ პირი ხდება ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტი – მაგისტრანტი.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე

4.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
- ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
- გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;
- ბ¹) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო ან ერთსაფეხურიან პროგრამაზე ჩაირიცხნენ ამ წესის მე-4 მუხლის თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 5.1 ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე

5^{1.1} ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

5^{1.2} ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული პროგრამა არის 60-კრედიტიანი, მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.

მუხლი	5 ²	უმაღლეს	საგანმანათლებლო	დაწესებულებაში	ერთიანი	ეროვნული
გამოცდების/საერთო	სამაგისტრო	გამოცდების	გავლის	გარეშე	სწავლის	უფლების
მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის	კანდიდატების/სტუდენტების	მიერ	წარმოსადგენი	დოკუმენტების	ნუსხა	

5².1 ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტმა უნივერსიტეტში განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ბ) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.
- გ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
- დ) მიღებული განათლების აღიარების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი.
- ე) ფოტო სურათი 3X4.
- ვ) მინდობილი პირის/ მეურვის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა.

5².2. საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებმა უნივერსიტეტში განცხადებას რექტორის სახელზე თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
- ბ) მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.
- გ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი და დიპლომის დანართი ან განცხადებას დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- დ) მიღებული განათლების აღიარების შესახებ - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი;
- ე) ფოტო სურათი 3X4;

მუხლი 5³. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

5^{3.1} ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენას და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებას. ყოველი სემესტრის დასაწყისში რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზის საშუალებით აირჩიოს სასწავლო კურსები სემესტრის დაწყებამდე. სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს არჩეულ კურსებში ცვლილების განსახორციელებლად.

5^{3.2} ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში პირველკურსელთათვის და მობილობის წესით გადმოსული სტუდენტების შემთხვევაში: განცხადებისა და თანდართული საბუთების წარმოდგენას, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე წესით, ხელშეკრულების გაფორმებასა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, ხოლო აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე წესით და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განხორციელებას.

5^{3.3} აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს ამ წესის 5^{1.2} პუნქტით და მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში საგნებზე რეგისტრაციას რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნულ პერიოდში სტუდენტის მიერ რეგისტრაციის გაუვლელია იწვევს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას.

5^{3.4} სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ, სტუდენტის მიერ რეგისტრირებული საგნის გაუქმება ან/და სტატუსის შეჩერება სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში არ ათავისუფლებს უნივერსიტეტსა და მას შორის წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებებისაგან.

5^{3.5} აკადემიური რეგისტრაციის დასრულების შემდეგ სტუდენტის სტატუსის აღდგენის (რაც ითვალისწინებს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას) შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია დარეგისტრირდეს იმ სასწავლო კურსებზე, რომელიც გახსნილია მიმდინარე სემესტრში.

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

6.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

დ) სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების (სწავლის საფასურის გადაუხდელობა) დარღვევა;

ე) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელია;

6.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად მიიჩნევა დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

6.3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში სტუდენტსა და დაწესებულებას შორის საგანმანათლებლო მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია;

6.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების დროის განმავლობაში, დაწესებულება და სტუდენტი თავისუფლდებიან ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობების შესრულებისგან, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე;

6.5 პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

7.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

ბ) პირადი განცხადება;

გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

დ) გარდაცვალება ან გარდაცვლილად აღიარება სასამართლოს მიერ;

ე) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები.

7.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები:

ა) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 - წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმდები დაწესებულების წესდებასთან.

ბ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რაც იწვევს სტუდენტთან დადებული საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მოშლას. აღნიშნული გარემოება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

8.1. სტატუსშეჩერებული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი განცხადების საფუძველზე ან/და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება იმ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ, რამაც გამოიწვია სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

8.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

მუხლი 9. დამატებით სემესტრზე და დამატებით სასწავლო კურსებზე რეგისტრაცია

9.1. სტუდენტმა, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში. სტუდენტისა ან/და უნივერსიტეტის მოტივირებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური წლის განმავლობაში განსაზღვროს დამატებითი ზაფხულის სემესტრი, დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

9.2. სასწავლო კურსით განსაზღვრული კრედიტის საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, შემდეგი ფორმულით: მიმდინარე წლიური გადასახადი იყოფა წლიური კრედიტების რაოდენობაზე - 60-ზე, რის შედეგად მიიღება 1 კრედიტის საფასური, რომელიც მრავლდება კონკრეტული სასწავლო კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობაზე.

9.3. დამატებით სემესტრზე სტუდენტის რეგისტრაცია ხორციელდება ამ წესის 5¹ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

9.4. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი უფლებამოსილია ერთი აკადემიური წლის განმავლობაში დარეგისტრირდეს პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებზე 60 კრედიტის ფარგლებში (ერთი სასწავლო სემესტრი - 30 კრედიტი). სტუდენტი უფლებამოსილია ერთი აკადემიური წლის განმავლობაში კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირდეს სასწავლო კურსებზე 75 კრედიტის ფარგლებში წერილობითი განცხადების საფუძველზე უნივერსიტეტის წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში.

9.5. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისთვის სტუდენტი ვალდებულია აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია გაიაროს ამ წესის 5¹ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 10. მობილობა

10.1. უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადებში და ამ აქტის შესაბამისად;

10.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაარეგისტრიროს მობილობის ადგილები, საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე;

10.3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

10.4. სამაგისტრო პროგრამებზე მობილობისა და შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

10.5. თუ დაწესებულების ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ დაწესებულების მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

10.6. რექტორი ადგენს ვადას, რომელშიც უნდა განხორციელდეს მობილობის მსურველთა მიერ დოკუმენტაციის დაწესებულებაში წარმოდგენა. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით დაწესებულებას ჩარიცხვის შესახებ, კარგავს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.7. უნივერსიტეტი, როგორც მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტს, სტუდენტის განცხადებას და თანხმობას აღიარებული კრედიტებისა და განსაზღვრული სემესტრის შესახებ, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც ცენტრი ამოწმებს ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ და ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ხოლო 3 სამუშაო დღის ვადაში იგზავნება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

10.8. სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის და რეესტრის მონაცემების საფუძველზე, რექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩარიცხა, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და

მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცენტრს წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

მუხლი 11. შიდა მობილობა

11.1. სტუდენტს უფლება აქვს სწავლის პერიოდში შიდა მობილობით შეიცვალოს საგანმანათლებლო პროგრამა.

11.2. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს დაწესებულება; შიდა მობილობა ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

11.3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება სტუდენტს ეძლევა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით; შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

11.4. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად.

11.5. შიდა მობილობის პროცესში სტუდენტის კრედიტების აღიარება ხორციელდება ამ აქტის მე-12 მუხლით გათვალისწინებული განათლების აღიარების/საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის წესის თანახმად.

11.6. შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ. შიდა მობილობის პროცესის დასრულების შემდეგ დაწესებულება ვალდებულია შიდა მობილობის შედეგები ორი კვირის ვადაში მიაწოდოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

11.7. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტად ფორმდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

12.1. შესაბამისი ფაკულტეტი/სკოლა ადგენს მის მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და ადგენს დასკვნას/შედარების აქტს შესაბამისი კრედიტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ;

12.2. აღიარებას ექვემდებარება იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

12.3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და მიძღვნილი ფაკულტეტის/სკოლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა:

ა) მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

ბ) თუ ერთი და იგივე სასწავლო კურსისთვის მიძღვნილი ფაკულტეტის/სკოლის მიერ რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული განსხვავებული ECTS კრედიტი, აღიარება ხდება მიძღვნილი ფაკულტეტის/სკოლის პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების შინაარსობრივი თავსებადობის გათვალისწინებით.

12.3¹. კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

ა) ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა;

ბ) სტუდენტის მიერ არჩეულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და თავსებადობა;

გ) საუნივერსიტეტო კურიკულუმთან შესაბამისობა და თავსებადობა;

დ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილ გამოცდა/გასაუბრებაში დადებითი შეფასების მიღება.

12.4. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით. თავისუფალი კრედიტების ზემოთ აღიარების გარეშე დარჩენილი კრედიტები აისახება დიპლომის დანართში.

12.4¹. თუ მიძღვნილი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს მეორე უცხო ენას, სტუდენტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია შიდა გამოცდით განისაზღვროს ენის ცოდნის დონე, რის საფუძველზეც სტუდენტი სწავლას გააგრძელებს შესაბამისი დონიდან. განსხვავებული კრედიტები უფლებამოსილია დააგროვოს თავისუფალი კრედიტების ფარგლებში.

12.5. იმ შემთხვევაში, თუ მობილობის მსურველმა პირმა დაწესებულებას წარუდგინა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ არის შესრულებული ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისად, დაწესებულების შესაბამისი დროებითი კომისია უფლებამოსილია მობილობის მსურველ პირს მოსთხოვოს ECTS/ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის/ შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი წარდგენა ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით და მოახდინოს გადაყვანა შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულია ასტრონომიულ საათებში, ცალკეული სასწავლო კურსის საერთო რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25-ზე: $60 \times 3 / 25 = 7,2$, დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს;

ბ) თუ სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული შეფასება შეესაბამება 5-ბალიან სისტემას, უნდა მოხდეს მისი გადაყვანა 100 - ქულიან შეფასების სისტემაზე შემდეგი პრინციპით:

შეფასება 5 /ფრიადი/ პირობითად ჩაითვალოს – A 91 (ფრიადი) შეფასებად;

შეფასება 4 /კარგი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ – C 71 (კარგი) შეფასებად;

შეფასება 3 /დამაკმაყოფილებელი/ პირობითად ჩაითვალოს მინიმალურ D 61 (დამაკმაყოფილებელი) შეფასებად;

გ) შეფასება „ჩაეთავალა“-ს გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: 5 ბალიანი შეფასების სისტემით გამოცდებზე მიღებული შეფასებების 100-ქულიანი შეფასების სისტემაზე მოდიფიცირების შედეგად მიღებული ქულების საერთო ჯამი (შეკრებილი ციფრი), იყოფა ამ სასწავლო დისციპლინების რაოდენობაზე და მიღებული ციფრი ჩაითვლება „ჩათვლით“ დამთავრებული სასწავლო კურსის შეფასების ეკვივალენტად; მაგ. $81(4)+91(5)+71(4)+71(4)+91(5)+81(4)=486/6=81$ (B).

12.6. ევროპის უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევათ შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.

12.7. პროგრამების თავსებადობა/შესაბამისობა ფორმდება შედარების აქტის/დასკვნის საფუძველზე გამოცემული რექტორის სამართლებრივი აქტით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღებ საგანმანათლებლო პროგრამასთან, ასევე, აღიარებული/თავსებადი კრედიტების რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია სტუდენტისათვის შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ.

12.8. აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს შესაბამისი სემესტრიდან;

მუხლი 12¹. ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარება

12¹.1. ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება (შემდგომში – უმაღლესი განათლების აღიარება) გულისხმობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ, რომლის სწავლის პერიოდი არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ სრულად/ნაწილობრივ, მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენას სახელმწიფოს მიერ აღიარებული შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან;

12¹.2. უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით, პირი მიმართავს სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წერილობითი განცხადებით, რომელსაც თან უნდა დაურთოს ლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დოკუმენტი/ცნობა ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლი ამ დაწესებულებაში პირის ჩარიცხვის, ასევე ამორიცხვის ან სწავლის დასრულების თაობაზე და სწავლის პერიოდში გავლილი საგნების ნუსხა, მათი კრედიტების ან/და შეფასებების მითითებით.

12¹.3. უმაღლესი განათლების აღიარების წინაპირობაა პირის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12^{1.4}. დაინტერესებული პირის განაცხადის წარმოებაში მიღების შემდეგ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის განმცხადებელს სურს უმაღლესი განათლების აღიარება, უგზავნის განაცხადებაზე თანდართულ დოკუმენტაციას.

12^{1.5}. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართულობით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გამოცდის ჩატარებას, რომლის მიზანია დადგინდეს, ფლობს თუ არა პირი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით გათვალისწინებულ კომპეტენციას. საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მიღებული დასკვნის საფუძველზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას.

12^{1.6}. განათლების აღიარების მსურველის გამოცდის ჩატარების წესი და გამოცდის თემატიკა, მიმღები საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიციის გათვალისწინებით, მტკიცდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

12^{1.7}. დაინტერესებულ მხარეს გამოცდის შესახებ უნდა ეცნობოს მის ჩატარებამდე არანაკლებ 2 კვირით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ითხოვს გამოცდის უფრო მოკლე ვადაში ჩატარებას.

12^{1.8}. განათლების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებით განისაზღვრება განათლების რა ნაწილი იქნა მიჩნეული აღიარებულად.

12^{1.9}. კრედიტების აღიარების მიზნით ევროპის უნივერსიტეტი ადგენს პირის მიერ ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების თავსებადობას ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან;

12^{1.10}. კრედიტების აღიარების მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით მტკიცდება დროებითი კომისიის შემადგენლობა, რომელშიც შედიან:

- ა) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- ბ) ფაკულტეტის დეკანი ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი/კოორდინატორი;
- გ) აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირი ან მოწვეული ლექტორი (შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი);
- დ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ან შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

12^{1.11}. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;

12^{1.12}. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით უნივერსიტეტი ვალდებულია ჩაუტაროს გამოცდა/გამოცდები შესაბამის სასწავლო კურს/კურსებში. გამოცდაზე/გამოცდებზე დადებითი შედეგის მიღწევის შემთხვევაში (50%-ს +1%) უნივერსიტეტი ადგენს თავსებადობას, რაზეც დგება შესაბამისი დასკვნა;

12¹.13. კომისიის დასკვნას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

12¹.14. კომისიის დასკვნა ეგზავნება სსიპ-განათლების ხარისხის გავითარების ეროვნულ ცენტრს, რის შემდეგაც ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე;

12¹.15. ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) აღიარებს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ მიღებულ უმაღლეს განათლებას;

ბ) უარს ამბობს ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირის მიერ მიღებული უმაღლესი განათლების აღიარებაზე.

12¹.16. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა გააგრძელოს შესაბამისი სემესტრიდან;

მუხლი 12². ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება

12².1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ევროპის უნივერსიტეტში ჩარიცხული პირი უფლებამოსილია მიმართოს დაწესებულებას წერილობითი განცხადებით ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების ევროპის უნივერსიტეტში ჩარიცხულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით;

12².2. კრედიტების აღიარების მიზნით ევროპის უნივერსიტეტი ადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან;

12².3. კრედიტების აღიარების მიზნით, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოხსენებით ბარათის საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით მტკიცდება დროებითი კომისიის შემადგენლობა, რომელშიც შედიან:

ა) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

ბ) ფაკულტეტის დეკანი ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი/კოორდინატორი;

გ) აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირი ან მოწვეული ლექტორი (შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი);

დ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ან შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

12².4. სტუდენტი, რომელმაც განცხადებით მიმართა ევროპის უნივერსიტეტს ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით, ვალდებულია, წარმოადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი-დიპლომი, დიპლომის დანართი ან სათანადოდ დამოწმებული ნიშნების ფურცელი და გავლილი სასწავლო კურსის/კურსების შინაარსი (სილაბუსი);

12².5. წარმოდგენილ დიპლომის დანართში ან სათანადო წესით დამოწმებულ ნიშნების ფურცელში უნდა იყოს მითითებული კონკრეტული უცხოური ენა, რომელიც გავლილი აქვს სტუდენტს;

12².6. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები;

12².7. წარმოდგენილი სილაბუსით გათვალისწინებული თემატიკის 50%-ს +1% თავსებადობის და სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსების ანალიზის (მიზანი, შედეგი) შედეგად უნივერსიტეტი უღიარებს გავლილ სასწავლო კურსს/კურსებს;

12².8. საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ამ კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;

12².9. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შინაარსის (სილაბუსი) ვერ წარმოდგენის ან ანალიზისთვის არასაკმარისი ინფორმაციის არსებობისას, ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის მიზნით უნივერსიტეტი უფლებამოსილია, ჩაუტაროს გამოცდა/გასაუბრება შესაბამის სასწავლო კურს/კურსებში. გამოცდაზე/გასაუბრებაზე დადებით შედეგის მიღების შემთხვევაში (50%-ს +1%) უნივერსიტეტი უღიარებს გავლილ სასწავლო კურს/კურსებს;

12².10. წარმოდგენილი სასწავლო კურსის/კურსების სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, თემატიკის 50%-ს +1% თავსებადობის დადგენის ან შესაბამის სასწავლო კურსში/კურსებში გამოცდა/გასაუბრებაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში კომისიის შემადგენლობა იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

12².11. კომისიის დასკვნას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, წევრი/წევრები და მდივანი. სხდომის მდივანს ევალება სხდომის ოქმის წარმოება. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით.

12².12. კომისიის დასკვნის საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს წარდგინებას კრედიტების აღიარების თაობაზე;

12².13. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს;

12².14. ევროპის უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად ამ წესის მე-12 მუხლის 12.5 ქვეპუნქტის თანახმად.

მუხლი 13. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

13.1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

13.2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

13.3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე (აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის/მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე) იღებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III

მუხლი 14. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება და სწავლის საფასური

14.1. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, დაწესებულებაში სწავლის საფასურს ადგენს რექტორი ბრძანებით.

14.2. სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში. სტუდენტთან შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს სწავლის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი;

14.3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის არსებულ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში სემესტრის შესაბამისად;

14.4. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლის პირობები, დაწესებულებისა და სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური და ანგარიშსწორების წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა.

თავი IV

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

მუხლი 15. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა

15.1 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

გ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

15.2 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რის საფუძველზეც პროგრამის გაუქმების შესახებ რექტორი გამოსცემს ბრძანებას. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, დაწესებულებაში არსებობს სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით:

15.2.1. დაწესებულებაში რეალიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების (მაგალითად, სასწავლო კურსის დამატება, გაუქმება, კრედიტების რაოდენობის ცვლილება და სხვა) შეტანის შემთხვევაში, აღიარება მოხდება კრედიტების თავსებადობის შესაბამისად.

15.2.2. დაწესებულებაში რეალიზებული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს.

15.2.3. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება უფლებამოსილია:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის დასრულების შესაძლებლობა გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია გადადის მიღვეად რეჟიმში, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე.

ბ) შესთავაზოს სტუდენტებს მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება ისეთი სასწავლო კურსები/მოდულები/თავისუფალი კომპონენტები, რომლებიც თავსებადი და რელევანტური იქნება სხვა პროგრამებზე გადასვლის შემთხვევაში და მოხდება მაქსიმალური რაოდენობის კრედიტების აღიარება;

გ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

დ) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

თავი V შეფასების სისტემა

მუხლი 16. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (სტუდენტის დატვირთვა)

16.1. ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა (ECTS) სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის/კომპონენტების, ცოდნის, უნარების და კომპეტენციების აღიარებას, ასევე სტუდენტთა მობილობის პროცესს.

16.2. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

16.3. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

მუხლი 17. სტუდენტის მიღწევების შეფასება

17.1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-17.5 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

17.2. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს (შუალედურ გამოცდას/გამოცდებს ან/და მიმდინარე სემესტრულ შეფასებას);

ბ) დასკვნითი გამოცდის / პროექტის შეფასებას.

17.3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

17.4. დასკვნითი გამოცდის ხვედრითი წილი განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსისთვის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს საერთო შეფასების 40 %-ისა.

17.5. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

17.6. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების/შეფასებების მინიმალური ზღვრის გადალახვისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვრის დაკმაყოფილების საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით უგროვდება არანაკლებ 51 ქულა.

17.7. დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს, თუ სტუდენტს უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

17.8. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, Fx-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

17.9. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

17.10. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

17.11. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

17.12. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

17.13. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-17.5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამ მუხლის მე-17.5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

17.14. დაწესებულებაში სწავლება-სწავლის მეთოდებია: ლექცია, ინტერაქციული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება, კურაცია და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდი მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

17.15. დაწესებულებაში შეფასების ფორმებია: შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება.

17.16. სტუდენტის დადებითი შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრის და დასკვნით გამოცდაში დადგენილი მინიმალური ზღვრის

გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით, რომელიც უნდა შეადგენდეს 51 ქულას ან მეტს.

17.17. დაწესებულება შუალედური შეფასებისთვის განსაზღვრავს მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს 30%- 50%-ის ოდენობით, ხოლო დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში 30%-50 %+ 1 ქულა. დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები კონკრეტდება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

17.18. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;

17.18.1. სასწავლო კომპონენტი – საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით;

17.18.2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის სახით;

თავი VI

სწავლებისა და სწავლის ფორმები, მეთოდები და კომპონენტები

მუხლი 18. სწავლებისა და სწავლის ფორმები, მეთოდები და კომპონენტები

18.1. შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების შემდეგ კომპონენტებს: ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.

18.2. შეფასების კომპონენტი მოიცავს შეფასების შემდეგ მეთოდებს: ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, საფანტომო ლაბორატორიაში მუშაობა და სხვ.

18.3. შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმით – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

18.4. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატურია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

თავი VII

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

19.1. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები, სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები/მოდულები.

19.2. არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ სტუდენტთა ინფორმირება სემესტრის დაწყებისთანავე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების შესახებ. სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსების გაცნობა და სარეგისტრაციო პერიოდში არჩევანის გაკეთება/დარეგისტრირება შესაბამის ფაკულტეტზე/სკოლაში.

19.3 არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით უნივერსიტეტი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ არჩევითობას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით, რის საშუალებითაც სტუდენტები სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ არჩევით სასწავლო კურსებს/მოდულებს.

თავი VIII

აკადემიური წელი, სემესტრი, კვირა

მუხლი 20. აკადემიური წელი, სემესტრი, კვირა:

20.1. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს. ერთი აკადემიური წელი მოიცავს 40 კვირას. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია განისაზღვროს ზაფხულის სემესტრი. დაწესებულებაში აკადემიური წელი/სემესტრი განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

20.2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

20.3. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

20.4. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათს და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე, დამოუკიდებელ საათებს.

20.5 საკონტაქტო საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო.

20.6 დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო.

20.7. დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

20.8. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.

20.9 სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

20.10. სასწავლო კურსების სწავლების თავისებურებიდან გამომდინარე შესაძლებელია მათი სწავლება განხორციელდეს კურსის ფორმატით და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

თავი IX საგანმანათლებლო პროგრამები

მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

21.1. საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითება:

- ა) პროგრამის სახელწოდება;
- ბ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი;
- დ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
- ე) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
- ვ) სწავლების ენა;
- ზ) პროგრამის ხელმძღვანელი;
- თ) სფეროს აღწერა;
- ი) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;
- კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- ლ) პროგრამის აქტუალობა და დასაქმება;
- მ) პროგრამის სტრუქტურა;
- ნ) სწავლების ფორმები, სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები;
- ო) სწავლის შედეგი;
- პ) დასაქმების სფერო;
- ჟ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- რ) სწავლა-სწავლების მეთოდები;
- ს) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
- ტ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
- უ) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- ქ) საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი;
- ღ) საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი;

ყ) სწავლის შედეგების რუკა;

ს) სასწავლო გეგმა.

21.2 პროგრამას თან უნდა ახლდეს:

ა) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);

ბ) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;

21.3 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღიწერება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით. პროგრამების შედეგების აღწერისას გამოიყენება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოთი ჩამოყალიბებული დარგობრივი და ზოგადი შედეგები:

ა) ცოდნა და გაცნობიერება;

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) დასკვნის გაკეთების უნარი;

დ) კომუნიკაციის უნარი;

ე) სწავლის უნარი;

ვ) ღირებულებები;

21.4. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

21.5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება დაწესებულების აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

21.6. სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) იქმნება შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის მიერ, სასწავლო კურსის შინაარსისა და სილაბუსის ავტორისათვის მინიჭებული აკადემიური თავისუფლების გათვალისწინებით.

21.7. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:

ა) სასწავლო კურსის სახელწოდება;

ბ) სკოლის/ფაკულტეტის დასახელება

გ) კურსის განმახორციელებელი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი);

დ) კონსულტაციის დრო და ადგილი;

ე) სასწავლო კურსის სტატუსი;

ვ) კურსის ხანგრძლივობა;

ზ) სასწავლო კურსის მოცულობა (ECTS);

თ) სტუდენტის დატვირთვის სქემა;

ი) სასწავლო კურსის მიზანი;

ლ) კურსის შესწავლის წინაპირობა;

მ) სწავლის შედეგები;

ნ) სასწავლო კურსის შინაარსი;

ო) ადმინისტრაციული რეკომენდაცია;

პ) სწავლების ფორმები, სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმები, შეფასების კომპონენტები, შეფასების კრიტერიუმები;

ჟ) შეფასების სისტემა;

რ) სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

21.8. სასწავლო კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება შეიტანოს სილაბუსში დამატებითი პუნქტები ან განახორციელოს ცვლილებები, რითაც არ დაირღვევა წინამდებარე დებულებით სასწავლო კურსისთვის და სილაბუსისთვის წაყენებული აუცილებელი პირობა. სასწავლო კურსის განმახორციელებელი ვალდებულია შეცვლილი სილაბუსი წარუდგინოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

21.9. უნივერსიტეტში პროგრამებს შეიმუშავენ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით. პროგრამის განხილვა ხდება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით.

21.10 საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა ხდება პროგრამის ხელმძღვანელის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში და შესაბამისი ცვლილება მტკიცდება წინამდებარე წესის 21.9 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

22.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება სასწავლო პროცესის განმავლობაში.

22.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას ახორციელებენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

22.3. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოკითხვა ატარებს ანონიმურ ხასიათს.

22.4. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების გამოკითხვას ატარებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც გამოკითხვის შედეგების შეჯერების შემდეგ იღებს შესაბამის ქმედით ღონისძიებებს, საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში გაუმჯობესების მიზნით.

22.6. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები გათვალისწინებული უნდა იქნეს საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას.

თავი X

გამოცდების ჩატარების წესი

მუხლი 23. გამოცდების ჩატარების წესი

გამოცდების ჩატარების და გამოცდაზე ქვევის წესები განისაზღვრება ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 24. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება და კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლის შესაბამისი საფეხურისთვის პროგრამით დადგენილი კრედიტების მოპოვების შემდეგ სტუდენტს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და ეძლევა რექტორის მიერ დამტკიცებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული კანონმდებლობით დადგენილი ფორმის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი შესაბამისი დანართით.

მუხლი 25. დასკვნითი დებულება

ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ, მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩაითვალოს უნივერსიტეტის ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც სხვაგვარად აწესრიგებენ ამ წესით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.